



ვიდეო: <http://artarea.tv/inside/2230/tskh ratskaro---erti-eqsponatis-instalatsia-jgu fi-sekatori>



„ცხრაწყარო“, ბენო გორდეზიანი
1930-იანი წლები, რესტავრაციამდე

ფოტო © ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

ცხრაწყარო - ერთი ექსპონატის ინსტალაცია

აუდიო-ვიდეო ნამუშევარი დიმა დადიანთან თანამშრომლობით.
კურატორი:თეონა ჯაფარიძე

ვიდეო: 2 წთ 55 წმ,1920x1080
2016

ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მდიდარ კოლექციაში დაცულია უნიკალური კუბისტური ტილო - „ცხაწყარო“, რომელსაც მხოლოდ ხელოვნებათმცოდნეთა ვიწრო წრე იცნობს. „ცხაწყარო“ გასული საუკუნის 30-იან წლებში მემარცხენე ფუტურისტების ჯგუფის H2SO4 წევრის, დადაისტი მხატვრის -ბენო გორდეზიანის მიერ არის შექმნილი. „ცხაწყაროს“ ჯადოსნური პეიზაჟის შესრულების კუბისტურმა მანერამ იმპულსი მისცა ფერებად, შრეებად და ბგერებად „დაშლილ“ აუდიო-ვიდეო ინსტალაციის შექმნას. **ცხრაწყარო - ერთი ექსპონატის ინსტალაცია** კუბიზმზე და პირველ მსოფლიო ომზეა.



ილუზიონი (ვამპირი ტირანაში)

ფოტოსერია
ზომა: ცვალუბადი
2012 - 2015

სახელოვნებო ნამუშევარი ფილმზე, როგორც უკვდავ მედიაზე.



00001985

ფოტოსერია
ზომა: ცვალუბადი
2014

საფოსტო მარკების სახელოვნებო გამოცემა
3,4 x 4,2 მმ

პროექტი **00001985** ეფუძნება სკოლის დროინდელ ამბავს 80-იანი წლების საბჭოთა საქართველოში, როდესაც მოსწავლეები საფოსტო მარკებით აზარტულ თამაშებს თამაშობდნენ. **00001985** აცოცხლებს აზარტულ თამაშს, აღბეჭდავს მას ფოტოზე და აპატარავებს ამ ფოტოებს საფოსტო მარკებად, რითაც ბავშვობის ემოციებთან ფორმალურ დაკავშირებასაც ახდენს.



ფოტო © GANGART

ვიდეო: <https://www.youtube.com/watch?v=PG3MVKMOgEE>



Dinge, die einen verfolgen

ინსტალაცია და ინსტალაციის
ფოტოდოკუმენტაცია
ზომა: ცვალეზადი

ვიდეო: 1 წთ 27 წმ, ხმის გარეშე, 3840x800
2011

ერთი ჩემოდანი, ის შავი ტყავის ქურთუკი, ის მწვანე საბანი, ექვსი ნეგატივის ჩარჩო, ის ხელოთათმანები, ერთი მონაზაზი და ერთი ნახატი, ის ყავისფერი ჩანთა, ის ნახატი აკრილში, საფოსტო ბარათი, ის ვიდეოკასეტა ჩანაწერით, ის შარვალი, ორი ფერადი ფირფიტა და გამოუყენებელი ქსოვილის ხუთი ნაჭერი - მეექვსე, ლურჯი ქსოვილი ზღვას ნიშნავს. ის, რაც ჯერ ვერ გაგიკეთებია და სულ თავს გახსენებს, მოლივლივე სხეულად იქცევა.

ინსტალაციის შთაგონების წყაროა რუსი საბჭოთა მწერლის, კორნეი ჩუკოვსკის 1923 წლის საბავშვო ნაწარმოები **მოიდოდირი (Мойдодыр)**, რომელშიც პირსაბანი დასდევს ბიჭს და ცდილობს ხელო-პირი დააბანინოს. ინტალაცია **Dinge, die einen verfolgen** ამ ამბის ავტორისეული ვერსიაა.



ნატურმორტი - ავტობიოგრაფიული გამოფენა

წარმოსახვითი ინსტალაცია, ფოტო
2010

მოცემული ორი ფოტოსურათი ავტობიოგრაფიული გამოფენის ორგანოზომილებიანი ესკიზია.
ეს გამოფენა ჯერ არ გაკეთებულა.

ნახატებზე, 1998-99 და ფოტოსურათებზე, 2008 ნატურმორტია გამოსახული. ნატურმორტები „გამოფენილია“ ორ ერთმანეთის პირისპირ მდგარ კედელზე - ფონი, ჩარჩო, აღწერა, ბარიერები, შეფერილობა და განათება, ყველაფერი ხაზს უსვამს წარმოდგენილი ნამუშევრების სტილს და ქმნის ერთ, დროისა და მეთოდის მიხედვით დანაწევრებულ სახელოვნებო და ბიოგრაფიულ სივრცეს.



ნატურმორტი

ფოტოსერია
ზომა: ცვალებადი
2008

ნატურმორტების სერია მოიცავს თერთმეტ ფოტოსურათს. მათზე აღბეჭდილია ავტორის პირადი სახელოვნებო არქივი, რომელიც ნამუშევრის დამთავრების შემდეგ შემორჩა: ჩანთებში, ცელოფანსა თუ ქაღალდის კონვერტებში შენახული ჩანახატები, ტექსტები, წიგნები, კვლევის მასალა და ა.შ. ნატურმორტადაა დაწყობილი და გადაღებული.

ნატურმორტების სერია არის დასრულებული მხატვრული ნამუშევრების ისეთი სახელოვნებო დოკუმენტაცია, როდესაც არ ხდება თავად მხატვრული ნამუშევრების ჩვენება.



კარი

ინსტალაცია
სინთეტიკური ბაწარი, 7,20 მ x 2,44 მ

ფოტოსერია
ზომა: ცვალებადი
2007

ფეხბურთის კარის ბადე, რომელიც მოქსოვილია ხუთი ფერის სინთეტიკური ბაწრისგან - ლურჯი, მწვანე, ყვითელი, ნარინჯისფერი და წითელი, ცისარტყელის ფერების „ფილტრია“ უდაბნო-ქალაქის ლანდშაფტში.

სუდანის დედაქალაქ ხარტუმში, ელ-დეამის ქუჩის ოთხი საფეხბურთო მოედანი როგორც სათამაშო, ასევე, საზოგადოებრივი შეკრებების ადგილია. როგორც წესი, სათამაშოდ ვინც მოდის, ყველას თავისი ბადე მოაქვს და კარზე ამაგრებს, ხოლო თამაშის დასრულების შემდეგ მას ჩამოხსნის და თან წაიღებს ხოლმე.